ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

„იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის

სხდომის ოქმი N4

ქ. ლანჩხუთი

03.04.2025 წელი
12:00 საათი

სხდომას უძღვებოდა: „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე, **გიორგი ხელაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ია მოქია, დარეჯან ბურჭულაძე, ნინო მშვიდობაძე და კარლო წილოსანი.

არ ესწრებოდნენ: კახა ასკურავა და მაკა მშვიდობაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე** და საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ია ბარამიძე.**

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

2. **სხვადასხვა საკითხები.**

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე". ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ. ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის ია მოქიას განმარტებით წესი საკრებულოს მიერ არ იყო დამტკიცებული, ვინაიდან დღის წესრიგში არ იდგა საჭიროება. მაგრამ საკრებულოში შემოსული საინიციატივო წერილის განხილვის ვადების დასაცავად გაჩნდა აღნიშნული წესის მიღების აუცილებლობა. წესში აღნიშნულია, რომ მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსება შეიძლება მხოლოდ იმ პიროვნებების, რომლებიც არიან თვალსაჩინო ისტორიული პიროვნებები, ეროვნული გმირები, მწერლები, გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწეები ან/და ქვეყნისა და ერის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლის მქონე პიროვნებები (შემდგომში – შესაბამისი პიროვნება) სახელის ხსოვნისა და უკვდავყოფნის ან ისტორიული მოვლენის (ფაქტის) ხსოვნისა და უკვდავყოფნის მიზნით, მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისი პიროვნების გარდაცვალებიდან (ან/და შესაბამისი ისტორიული მოვლენის, ფაქტის დადგომიდან) 20 წლის გასვლის შემდეგ. კომისიის წევრებმა გარკვეული ცვლილებები შეიტანეს მე-II თავის მე-2 მუხლის მე-3 პუნტქში და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: ქანდაკების განთავსებასთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობითი წინადადებით შეიძლება მიმართოს საკრებულოს წევრთა 1/3-მა, მუნიციპალიტეტის მერმა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, საინიციატივო ჯგუფმა.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

მომხრე 5; წინააღმდეგი არც ერთი.

სხვადასხვა: დეპუტატებმა დარეჯან ბურჭულაძემ და კარლო წილოსანმა აღნიშნეს, რომ შემოსულია ინიციატივა, ბატონი ავთანდილ ჯორბენაძის ბიუსტის დადგმასთან დაკავშირებით, რამაც კომისიის წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ქალაქში არსებული ზურაბ თავართქილაძის სახელობის სკვერში ბიუსტის დადგმასთან დაკავშირებით. კომისიის წევრთა უმრავლესობამ აღნიშნეს, რომ რათქმაუნდა პიროვნებას მხარს უჭერენ, მაგრამ სასურველია შეიცვალოს მისი განთავსების ადგილი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის" კომისიის თავმჯდომარე **/გიორგი ხელაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის
დასკვნა №4

03.04.2025 წელი

12.00 საათი

მიმდინარე წლის 3 აპრილს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე". ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე". ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი შენიშვნების გათვალისწინებით იქნა მიღებული.

მომხრე 5; წინააღმდეგი არც ერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ
საკითხთა და ეთიკის" კომისიის თავმჯდომარე **/გიორგი ხელაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს "იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის" წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

03.04.2025 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ხელაძე	11:50	
2	ია მოქია	11:50	
3	კახაბერ ასკურავა	არ ესწრებოდა	
4	მაკა მშვიდობაძე	არ ესწრებოდა	
5	კარლო წილოსანი	12:00	
6	ნინო მშვიდობაძე	12:00	
7	დარეჯან ბურჭულაძე	11:55	